

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

14.08 2014 წელი

1 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტრო

აუდიტის ანგარიში № 14/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 30 ივნისი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უპირობო მოსაზრება	4
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	5
რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	5
2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	9
სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდები	13
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური დახმარების მაჩვენებლების შესრულება	13
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ასიგნებები .	14
ანგარიშგების ფორმები	18

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის II კვარტლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსის, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების, რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის II კვარტლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დანიშნულებისამებრ წარდგენაზე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის II კვარტლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები


„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით 2014 წლის 6 თვეში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 134111,5 ათასი ლარით განისაზღვრა.

	(ათასი ლარი)
შემოსულობები	134111,5
შემოსავლები	128877,0
გადასახადები	121000,0
გრანტები	2500,0
სხვა შემოსავლები	5377,0
არაფინანსური აქტივების კლება	5234,5

წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

2014 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შემოსულობებმა 69867,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 4084,1 ათასი ლარით აღემატება და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 52,1 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 2011-2014 წლების იანვარ-ივნისის (ათასი ლარი)



შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

ფაქტობრივი შესრულება


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მიმდინარე წლის ექვს თვეში მიღებული შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა, 66476,8 ათასი ლარი, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 51.2 პროცენტს შეადგენს და 16,5 პროცენტული პუნქტით აღემატება 2014 წლის 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებელს.

დინამიკა და ანალიზი

მიმდინარე წლის 6 თვეში მიღებული შემოსავლების მოცულობა, 2013 წლის შესაბამის პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 2075,4 ათასი ლარით.

2013 წლის 6 თვის პერიოდის მიხედვით შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიანი შემოსულობების 97,9 პროცენტს, მიმდინარე წელს კი - 95,1 პროცენტს შეადგენს.

2014 წლის იანვარ-ივნისის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზირებული შემოსულობების სტრუქტურა




საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 2014 წლის 6 თვეში 61205,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 115,5 პროცენტი შეადგინა და 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 682,2 ათასი ლარით აღემატება.

2014 წლის 6 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 50,6 პროცენტს შეადგენს, რაც 1,1 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

2013 წლის 6 თვეში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიანი შემოსავლების 94,0 პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე წელს კი ეს წილი 92,1 პროცენტია.



გრანტები

2014 წლის 6 თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში, გრანტების სახით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 532,3 ათასი ლარი, რაც 6 თვის საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტია. 2014 წლის 6 თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში, გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 375,5 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებიდან მობილიზებული თანხები (4738,8 ათასი ლარი) 2014 წლის 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული მოცულობის 135,0 პროცენტია და 1017,7 ათასი ლარით აღემატება 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად საპროგნოზო მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისა, ადგილი აქვს ცალკეულ სახეებში საბიუჯეტო გეგმის შესრულებლობის ფაქტებს. კერძოდ: ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 69,0 პროცენტით (გეგმა 30,0 ათასი ლარი, ფაქტი 20,7 ათასი ლარი), ხოლო ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 94,9 პროცენტით (გეგმა 47,0 ათასი ლარი, ფაქტი 44,6 ათასი ლარი).

არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული თანხების ოდენობამ 3391,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2014 წლის 6 თვის პროგნოზის 105,3 პროცენტია და 2008,7 ათასი ლარით მეტია 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

2014 წლის 6 თვეში ძირითადი აქტივების პრივატიზების შედეგად მიღებულია 955,9 ათასი ლარი, რაც ამავე პერიოდის პროგნოზის 119,5 პროცენტია და 560,9 ათასი ლარით მეტია 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. მატერიალური მარაგების რეალიზაციის შედეგად მიღებულია 739,4 ათასი ლარი, რაც საანგარიშო პერიოდის გეგმური მაჩვენებლის 75,8 პროცენტია, ანუ გეგმის შესრულებას 235,0 ათასი ლარი დააკლდა. ფასეულობების რეალიზაციით, საბიუჯეტო გეგმის არარსებობის პირობებში მიღებულია 0,6 ათასი ლარი. არაწარმოებული აქტივების (მიწა) პრივატიზებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 117,3 პროცენტით, ანუ გეგმა შესრულებულია 250,2 ათასი ლარის გადაჭარბებით და ის 707,8 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

ვალდებულებების ზრდის შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით 2014 წლის 6 თვეში, ისევე როგორც 2013 წლის შესაბამის პერიოდში, ვალდებულებების ზრდას ადგილი არ ჰქონია.

2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები


2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამისად გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა 165 854,9 ათასი ლარით განისაზღვრა.

	ათასი ლარი
შრომის ანაზღაურება	36614,4
საქონელი და მომსახურება	21623,4
პროცენტი	277,6
სუბსიდიები	2411,1
გრანტები	40835,8
სოციალური უზრუნველყოფა	6077,8
სხვა ხარჯები	26801,1
სულ ხარჯები	134641,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	29674,3
ვალდებულებების კლება	1539,5
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	165854,9

დაგეგმილი გადასახდელების მაჩვენებლების შესრულება

2014 წლის 6 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიურმა მოცულობამ 39509,6 ათასი ლარი, ანუ 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის 50,5 პროცენტი, ხოლო წლიური გეგმის 23,8 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 3092,4 ათასი ლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამებიდან ჩანს, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადახდილი თანხების ხვედრითი წილი გადასახდელების საერთო მოცულობაში 6,8 პროცენტული პუნქტით, ამავე დროს 4,29 და 11,08 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ვალდებულებების კლების სახით გადახდილი თანხების ხვედრითი წილი.




ხარჯები


როგორც უკვე აღინიშნა, გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიური მოცულობის 92,1 პროცენტი (36394,1 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 27,0 პროცენტს შეადგენს. ამავე პერიოდში სხვა გადასახდელების სახით გადახდილი იქნა 3115,5 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, 6 თვის პროგნოზთან (64218,4 ათასი ლარი) შედარებით დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ 27824,3 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლი დაუფინანსებელია 582,3 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 2,1 პროცენტი; საქონელისა და მომსახურების მუხლი - 3652,2 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 13,1 პროცენტი; პროცენტის მუხლი - 14,6 ათასი ლარი, დაუფინანსებელი საერთო თანხის 0,05 პროცენტი; სუბსიდიები - 190,6 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 0,7 პროცენტი; გრანტები - 14202,0 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 51,0 პროცენტი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლი - 1017,9 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 3,7 პროცენტი და სხვა ხარჯების მუხლი - 8164,8 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 29,3 პროცენტი.

2014 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით



2013 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით



მიმდინარე წლის 6 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია ხარჯები, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ისეთი მუხლების მიხედვით როგორიცაა: წარმოების ანაზღაურების მუხლი - 9781,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება - 1190,2 ათასი ლარით, პროცენტი - 26,4 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 1111,1 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 2981,1 ათასი ლარით. ამავე დროს ხარჯები შემცირებულია სუბსიდიების მუხლი - 11696,5 ათასი ლარით და გრანტები - 296,7 ათასი ლარით.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია


ფაქტობრივი შესრულება

წლიური ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 6 თვისათვის დაგეგმილი გადასახდელების საკასო შესრულებამ 38801,6 ათასი ლარი, ანუ


გეგმის 50,0 პროცენტი, ხოლო წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული პარამეტრის 23,6 პროცენტი შეადგინა.

დინამიკა და ანალიზი

2014 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმის შესრულების საშუალო დონესთან შედარებით (50,0%) **ჩამორჩენა** შეიმჩნევა დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის ისეთი სფეროების მიხედვით როგორიცაა: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება-29,5 პროცენტი (გეგმა 25335,5 ათასი ლარი, ფაქტი 7468,6 ათასი ლარი), ეკონომიკური საქმიანობა - 49,6 პროცენტი (გეგმა 21170,1 ათასი ლარი, ფაქტი 10505,0 ათასი ლარი), ხოლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსება, 800,0 ათასი ლარის საბიუჯეტო გეგმის არსებობის პირობებში, საერთოდ არ განხორციელებულა. დაფინანსების შედარებით **მაღალი დონით** გამოირჩევიან ისეთი სფეროები, როგორიცაა: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 59,5 პროცენტი (გეგმა 1548,8 ათასი ლარი, ფაქტი 921,3 ათასი ლარი), დასვენება, კულტურა და რელიგია 60,4 პროცენტი (გეგმა 13764,2 ათასი ლარი, ფაქტი 8313,3 ათასი ლარი), სოციალური დაცვა - 63,2 პროცენტი (გეგმა 754,3 ათასი ლარი, ფაქტი 476,9 ათასი ლარი), ჯანმრთელობის დაცვა - 73,5 პროცენტი (გეგმა 4564,1 ათასი ლარი, ფაქტი 3353,5 ათასი ლარი), განათლება - 80,1 პროცენტი (გეგმა 9046,4 ათასი ლარი, ფაქტი 7247,0 ათასი ლარი), გარემოს დაცვა - 89,7 პროცენტი (გეგმა 575,3 ათასი ლარი, ფაქტი 515,9 ათასი ლარი).



**ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის
ფუნქციონალური სტრუქტურა
2013 წლის 6 თვე**



სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდის მოცულობა 1500,0 ათასი ლარით განისაზღვრა. 2014 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯი 660,2 ათას ლარს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან თანხები 46 შემთხვევაში გამოყოფილია ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, რომლის დანიშნულებისამებრ გამოყენების მდგომარეობა შესაბამის დაწესებულებებში უნდა შემოწმდეს.

მიმღების დასახელება	ათასი ლარი
აჭარის ა.რ. განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	123,4
აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	204,8
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები	331,9
სულ:	660,1

**ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური
დახმარების მაჩვენებლების შესრულება**

2014 წლის 6 თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების მოცულობა 14785,9 ათასი ლარით განისაზღვრა. მათ შორის: თვითმმართველი ქალაქი ბათუმი - 2545,0 ათასი ლარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 9549,9 ათასი ლარი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 806,6 ათასი ლარი, ქედის

მუნიციპალიტეტი - 1527,4 ათასი ლარი, შუახვევის მუნიციპალიტეტი - 300,0 ათასი ლარი და ხულოს მუნიციპალიტეტი - 57,0 ათასი ლარი.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური დახმარების 2014 წლის 6 თვის გეგმური მაჩვენებელი 3,9 პროცენტით შესრულდა, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 14202,0 ათასი ლარი. კერძოდ: თვითმმართველ ქ. ბათუმს გადაეცა 45,0 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 1,8 პროცენტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტს გადაეცა 161,9 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 1,7 პროცენტი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს - 60,6 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 7,5 პროცენტი, ქედის მუნიციპალიტეტს - 259,4 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 17 პროცენტი და ხულოს მუნიციპალიტეტს - 57,0 ათასი ლარი, ანუ საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტი, ხოლო შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით თანხები ჩარიცხული არ არის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ასიგნებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული, 2014 წლის 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი 8635,1 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 4585,4 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 53,1 პროცენტია. სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული პროგრამების ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:


დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	2771,6	1307,3	1464,3	47,2
სახაზინო მომსახურება	100,1	97,4	2,7	97,3
ბათუმის ბუღალარი	3469,3	1970,5	1498,8	56,8
საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (გაზეთი „აჭარა“)	115,0	109,5	5,5	95,2
დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა (ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი“)	37,8	34,7	3,1	91,8
საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა (სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია“)	584,6	136,8	447,8	23,4
ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რეგულირება და პრევენცია (სსიპ „აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო“)	1556,7	929,2	627,5	59,7
სულ	8635,1	4585,4	4049,7	53,1

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება	2014 წლის ბიუჯეტი		2014 წლის ხარჯები		გადახრა ფაქტ.ხარჯსა და გადახდას შორის		გადახრა გეგმა-საკასო	შესრ. %
	დამტკ.	დაზუსტ.	საკასო	ფაქტობრ.	მეტობა	ნაკლებ		
სულ ხარჯები								
1. ხარჯები	12142257	6066623	3992069	3785702		206367	2074554	65,8%
მათ შორის								
1.1 შრომის ანაზღაურება	4719180	2308102	2200277	2200277			107825	95,3%
1.2 საქონელი და მომსახურება	5564500	2626166	1518945	1500809		18136	1107221	57,8%
1.6 გრანტები				16692	16692			
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	20000	51848	51495	51495			353	99,3%
1.8 სხვა ხარჯები	1838577	1080507	221352	33121		188231	859155	20,5%
არაფინანსური აქტივების ზრდა								
2. სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	8238594	3932469	620263				3312206	15,8%
3. ვალდებულებები	55854	55854	55848				6	99,9%
სულ	20436705	10054946	4668180				4386766	46,4%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სტრუქტურის ცვლილების შედეგად, 2014 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო კოდში მოხვდნენ, სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაცია-დაწესებულებები (შპს „გაზეთი აჭარა“, ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი“, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია“, სსიპ „აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო“) რომლებსაც 2013 წლის ბიუჯეტში ცალკე საბიუჯეტო კოდები ჰქონდათ მინიჭებული. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის 2012 და 2013 წლების საკასო ხარჯების შედარების დინამიკა

ათასი ლარი



წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ სამინისტროს (ნაერთი ანგარიში) 2013 წლის ხარჯები, გასული წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება, კერძოდ 2013 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით:

✓ გაზრდილია სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების ხარჯი - 22,9 ათასი ლარით, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 1,3 ათასი ლარით, სოც. უზრუნველყოფის ხარჯი - 44, 0 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 118,0 ათასი ლარით;


✓ შემცირებულია თანამდებობრივი სარგო - 68,3 ათასი ლარით, პრემია - 7,6 ათასი ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -52,2 ათასი ლარით, მივლინება - 1,6 ათასი ლარით, ოფისის ხარჯი - 41,1 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი - 13,9 ათასი ლარით, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი - 12,8 ათასი ლარით;

➤ 2013 წელთან შედარებით სამინისტროს აპარატში 411,9 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით, რომელიც მთლიანი შრომის ანაზღაურების 42,9% შეადგენს. პრემიების გაცემა ხდება ყოველთვიურად თითოეულ თანამშრომელზე 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველკვარტალურად - 100%-ის ოდენობით;

➤ 2014 წლის მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები 12,3 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯების ანაზღაურებას მოხმარდა 7,8 ათასი ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ მივლინებას - 4,5 ათასი ლარი.

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის საკასო ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებთან მიმართებით წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის
გადასახდელები



აუდიტის პერიოდში სამინისტროს აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 32 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 20 შემთხვევაში, უარყოფითი შედეგით დასრულდა 2 და ტენდერი არ შედგა 10 შემთხვევაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული 183 ხელშეკრულებიდან 6 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, 20 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის საშუალებით და 157 შემთხვევაში - გამარტივებული შესყიდვით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დავემდებარებულ ორგანიზაციებს, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ერიცხებოდა 100,5 ათასი ლარის დებიტორული და 77,3 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. სანგარიშო პერიოდში დებიტორული დავალიანება გაიზარდა 263,9 ათასი ლარით, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 275,7 ათასი ლარით და 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შესაბამისად 364,4 ათასი და 352,9 ათასი ლარი შეადგინა.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

13.08.2014 წ.

ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჩაბარების ვადა

2014 წლის 10 აგვისტო

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშების ფორმები**

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნამთი წლის დასაწყისისთვის	ნამთი წლის (ვვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	წალდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	წალდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	774881	980849
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290	12932	
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	294	10421
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	76806	139423
210	გადახდილი დღგ	1356	6778	
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		19267
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	34	306
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	23290	19276
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		192245
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	აფაფიზებული აქტივების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		1954
330		1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	135868	261193
410	შენობა-ნაგებობები	2110	24324330	25194982
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	13809604	12760998
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	768344	858674
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	73480	2124670
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	10406	12365
460	ფასეულობები	2300	116908	116908
470	არაწარმოებული აქტივები	2400	157740672	289061630
	ბალანსი		197874627	331755161

**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშების ფორმები**

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	45932	68047
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	9912	18570
510	ვალდებულებები ბარტერით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	21447	
530	გადასახდელი დღგ	3242	361	39820
540	გადასახდელი სამშენსაველო გადასახადი	3243	160	182
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246	18486	199657
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	640	512
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	20	26129
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	196757279	329956848
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		425006
770	გაუნაწილებელი მოგება	5220	1020390	1020390
780	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		197874627	331755161
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
800	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
810	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	199330	199306
830	პირობითი მოთხოვნები	05		
840	პირობითი ვალდებულებები	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	255575	255575
870	ვადგადავიღებული დავალიანებები	09		
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	783407	789515
890	განსაკრვავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

*აღნიშნული სტრუქტურის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებისა და კაპიტალის ჯამს

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშების ფორმები

ბალანსის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი 245429200

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 ივლისისასათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ხიუჯებით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	12142257	6066623	4161221	3992070	3992069	3785702	-206367
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	4719180	2308102	2242235	2200278	2200277	2200277	0
030	1.1.1 ხელფასები	211			2242235	2200278	2200277	2200277	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111			2242235	2200278	2200277	2200277	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111			1570782	1548824	1548823	1548823	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113			671453	651454	651454	651454	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							0
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							0
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							0
140	1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							0
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	5564500	2626166	1646139	1518945	1518945	1500809	-18136
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221			157560	155325	155325	196545	41220
170	1.2.2 მივლინებები	222			32236	17144	17144	15191	-1953
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223			373405	371003	371003	348877	-22126
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224			10960	9012	9012	8687	-325
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							0
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226			1085	1085	1085	1085	0

220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227			26938	26938	26938	26938	0
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228			126904	124200	124200	124735	535
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							0
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210			917051	814238	814238	778751	-35487
260	1.3 პირითადი კაპიტალის მოხმარება	23							
270	1.4 პროცენტი	24	0	0	0	0	0	0	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							0
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							0
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							0
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							0
350	1.5 სუბსიდიები	25							0
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	16692	16692
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							0
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	0	0	0	0	0	0	0
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							0
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	0	0	0	16692	16692
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632						16692	16692
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	20000	51848	51495	51495	51495	51495	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							0
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							0
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	0	0	0	0	0	0	0
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							0
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							0

530	1.7.3 დამჭირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	0	51495	51495	51495	51495	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731			51495	51495	51495	51495	0
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							0
560	1.8 სხვა ხარჯები	28	1838577	1080507	221352	221352	221352	33121	-188231
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281			595	595	595	595	0
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	0	0	220757	220757	220757	32526	-188231
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821			28512	28512	28512	32526	
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822			192245	192245	192245		
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მაჩვენებელი და სახელები		ბიუჯეტით			ბიუჯეტგარეშე				
		გეგმით		ფაქტიურად*	გეგმით		ფაქტიურად*		
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა									
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა									

* ფაქტიურად დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოთვიური რაოდენობის ჯამი უნდა გაიყოს საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე).

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



მთავარი ბუღალტერი

ბ.ს.

ბალანსის დანართი ფორმა №2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი: 245429200

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 ივლისისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებულ ი გეგმით	დაზუსტებულ ი გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	8238594	3932469	1134236	620263	620263
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	1134236	620263	620263
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	1100549	586576	586576
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111			496411		
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112			124525	124525	124525
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114			464155	446593	446593
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118			15458	15458	15458
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	33687	33687	33687
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121			23200	23200	23200

170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122			10487	10487	10487
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	0	0	0
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	0	0	0	0	0
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122	0	0	0	0	0
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314	0	0	0	0	0
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143	0	0	0	0	0
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					



ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

(Handwritten signature in blue ink)

ბალანსის დანართი ფორმა #2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი: 245429200

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 ივლისისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
020	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					

150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33	0	55854	55848	55848	55848
200	2.1 საშინაო	331	0	0	55848	55848	55848
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318			55848	55848	55848
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					



ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

(Handwritten signature in blue ink)

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

ბალანსის დანართი ფორმა №3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი 245429200

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 ივლისისათვის

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებეტი	თანა	ანგარიშის №	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	196757279
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	2200277	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	4668180
7200	საქონელი და მომსახურება	1500809	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	133238559
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა		6300	მ.შ. გრანტები	133238554
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდიები				
7600	გრანტები	16692			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	51495			
7800	სხვა ხარჯები	33121			
	აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება			აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები	12932	3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600 -2000	არაფინანსური აქტივები	1138510	1600 -2000	არაფინანსური აქტივები	314686
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	68020	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *	12932			
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	5021856		საკრედიტო ბრუნვა	138221425
	სულ ჯამი:**	5021856		სულ ჯამი:***	334978704
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	329956848

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსულობებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა



ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მფარველი ბუღალტერი:

**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები**

ბალანსის დანართი ფორმა №4

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება **აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

კოდი: **245429200**

პერიოდულობა: **კვარტალური, წლიური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 ივლისისათვის** ზომის ერთეული: **ლარი**

სტრუქტურული ს. კოდი	დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტური
1	2	3	4	5
010	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის		771419	
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის			1020390
030	შემოსულობები			
040	საოპერაციო შემოსავლები	0	468116	499132
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით	0	468116	499132
060	გადასახდელები			
070	გრანტები			
080	სხვა შემოსავლები	0	468116	499132
090	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
100	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		421033	436563
110	გ) სანქციები,ჯარიმები,საურავები			
120	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები,გრანტების გარდა		15018	20377
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		32065	42192
140	შემოსულობები		54933	
150	არაფინანსური აქტივების კლება			
160	ფინანსური აქტივების კლება			
170	ვალდებულებების ზრდა		54933	
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები		523049	499132
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები	279424	158582	74126
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი 279424	158582	74126
220	1.1. შრომის ანაზღაურება	21	12240	6120
230	1.2 საქონელი და მომსახურება	22	150623	47440
240	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23		
250	1.4 პროცენტი	24		
260	1.5 სუბსიდიები	25		
270	1.6 გრანტები	26		
280	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27		
290	1.8 სხვა ხარჯები	28	116561	105022
300	გადასახდელები		1048493	167707
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31 1048493	167707	
320	2.1 ძირითადი აქტივები	311	1048493	167707
330	2.2 მატერიალური მარაგები	312		
340	2.3 ფასეულობები	313		
350	2.4 არაწარმოებული აქტივები	314		
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32 0	0	
370	3.1 საშინაო	321		
380	3.2 საგარეო	322		
390	4. ვალდებულებების კლება	33 0	0	
400	4.1 საშინაო	331		
410	4.2 საგარეო	332		
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332 1327917	326289	74126

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშების ფორმები

430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			
440	არასაოპერაციო შემოსავლები			
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი			
460	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
470	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
480	ვალდებულებების გადაცემა			
490	არასაოპერაციო ხარჯები			
500	კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი			
510	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
520	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
530	ვალდებულებების მიღება			
540	მოგების გადასახადი			
550	ნაშთი წლის (ვარტლის) ბოლოს		968179	1445396

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა.



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

ბალანსის დანართი ფორმა # 4-1

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი: 245624702

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1

ზომის ერთეული: ლარი

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გეგმიური	საკასო	ფაქტიური
1 გრანტის მთლიანი მოცულობა					
2 მ.შ მიღებული თანხა					
3 მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4 მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					

1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	3462	16394	
2	მიმდინარე წლის მოცულობა	96278	51375	51375
3	სულ (1+2)	99740	67769	51375
4	ხარჯები	99740	42167	44324
5	შრომის ანაზღაურება			
6	საქონელი და მომსახურება	99740	42167	42167
7	პროცენტი			
8	სუბსიდიები			
9	გრანტები			
10	სოციალური უზრუნველყოფა			
11	სხვა ხარჯები			2157
12	არაფინანსური აქტივების ზრდა			
13	ფინანსური აქტივების ზრდა			
14	ვალდებულებების კლება		12932	
15	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა		12670	9208
16	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები გრანტის თანხით			

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი მუდრალტერი:

ბ.ა



[Handwritten signatures in blue ink]

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

ბალანსის დანართი ფორმა №5

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

კოდი: 245429200

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 ივლისისათვის

ზომის ერთეული: ლარი

N	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება											გასვლა																					
			შეყიდვა წინა წლების ანგარიშით	შეყიდვა მაშინდელ პერიოდის	ხარჯები	იმავე დონის საბუღალწვეო ერთეულიდან უსაყიდვოდ	არასაბუღალწვეო შემოსულობები	გრანტები	სხვა შემოსულობები	სხვა კომპლექური ნაკადები	საქონლი	საქონლი	გაბატონის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	სხვა მიღებები	გაყიდვით	ხარჯებით	იმავე დონის საბუღალწვეო ერთეულიდან უსაყიდვოდ	არასაბუღალწვეო ხარჯები	აქციების და სხვა კაპიტალის სხივი	ხელუქები	სასაქონლო ფორმით	სესიდივებით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საქონლი	საქონლი	გაბატონის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონლო და მომსახურებით	სხვა გასაღები	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
010	1. მატერიალური მარაგები	135868	0	257904	0	0	0	0	5	0	0	0	0	0	0	0	0	695	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	131889	0	261193
020	1.1. სტრატეგიული მარაგები																																		
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	135868	0	257904	0	0	0	0	5	0	0	0	0	0	0	0	0	695	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	131889	0	261193
040	1.2.1. ნედლეული და მასალები																																0		
050	1.2.2. დაუმთავრებელი წარმოება																																0		
060	1.2.3 მზა პროდუქცია																																0		
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი																																0		
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	23343		31095																											33410		21028		
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები	10756		27744																											17229		21271		
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	101769		199065					5									695													81250		218894		
110	2. ძირითადი აქტივები	38975758	0	2856719	0	246456	0	82918	0	0	0	0	0	0	0	0	0	1137815	0	0	0	0	16692	0	0	0	0	68020	0	0	0	0	0	40939324	
120	2.1 შენობა-ნაგებობები	24324330	0	611138	0	244616	0	82918	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	68020	0	0	0	0	0	25194982	
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები	5492112				176596																												5668708	
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	4075495		131525		68020																					68020							4207020	
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალები																																0		
160	2.1.4 ქუჩები			464155																														464155	
170	2.1.5 გზები																																0		
180	2.1.6 ხიდები																																0		
190	2.1.7 გვირაბები																																0		
200	2.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	56381		15458																														71839	
210	2.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები																																0		
220	2.1.10 მილსადენები																																0		
230	2.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	14700342					82918																											14783260	

[illegible]

* აღიზიარებდა სადაზღვევო კომპანიებზე აქტივების მიღება/მიწოდება, ნედლეულისა და მასალის მზა პროდუქციაში გადატანა და არაფინანსური აქტივების სხვა მოძრაობები

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

2.0

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

ბალანსის დანართი ფორმა №6

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი: 245429200

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 ივლისისათვის

ზომის ერთეული: ლარი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																		
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შემენა		სხვა სახით მიღება		ექსპლუატაციიდან გასული		სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	ლირებულეზა	რაოდენობა	ლირებულეზა	რაოდენობა	ლირებულეზა	რაოდენობა	ლირებულეზა	რაოდენობა	ლირებულეზა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. საბაზო ნაწილი	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. საბაზო დარიგო ნაწილი
1 სატრანსპორტო საშუალება სულ:	31	867765	0	0	0	0	0	0	1	16692	92245	4520	73694	14031	74388	4520	56312	13556
მათ შორის	31	867765	0	0	0	0	0	0	1	16692	92245	4520	73694	14031	74388	4520	56312	13556
1.1 მსუბუქი	12	175549									36255	1787	28313	6155	33080	1787	25023	6270
1.2 ჯიპები და პიკაპები	16	539970							1	16692	35200	2733	24591	7876	31768	2733	21749	7286
1.3 სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები											1036		1036		1036		1036	
1.4 სატვირთო	3	152246									19754		19754		8504		8504	

